მიმდინარეობდა ბოლო წუთი…

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 20 ივლისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (0:1).

“ჩერნომორეცი”: დეგტიარიოვი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო, სოპელნიკი, საპოჟნიკოვი (გრიგორიევი), უსტიმჩიკი, პლოსკინა, მიხაილოვი, ალიზადე, პოლიშჩუკი (რიბაკი).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, რეხვიაშვილი, ყიფიანი (ქორიძე), წერეთელი (გ. მაჩაიძე).

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები – 0:3.

ოდესისა და თბილისის ფეხბურთელთა კალენდარული მატჩის წინა დღეს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული, უკვე ტრადიციად ქცეული მეგობრული შეხვედრა. ორივე გუნდის მოთამაშეები და ხელმძღვანელები მიიწვიეს ქალაქის ერთ–ერთ ყველაზე დიდ კინოთეატრში, სადაც ფეხბურთის მოყვარულთა ფართო აუდიტორიის წინაშე გაიმართა საუბარი, აზრთა გაცვლა–გამოცვლა, შემდეგ უჩვენეს, ახალი მხატვრული ფილმი საფეხბურთო თემაზე – “11 იმედი”.

თვით მატჩი, დიდი სიცხის მიუხედავად, მიმდინარეობდა საინტერესოდ, მაღალი ტემპით, კრიტიკული მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე კართან. მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს უპირატესობის მოპოვება, პირველივე წუთებზე შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ მე–7 წუთზე დინამოელებმა სწრაფი კონტრიერიში განავითარეს. ასათიანმა კარგად მიაწოდა ბურთი კარის წინ ყიფიანს და ჩემპიონატის ერთ–ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა კომბინაცია – 1:0.

ამ მარცხის მიუხედავად, “ჩერნომორეცი” განაგრძობდა აქტიურ, შემტევ თამაშს. დიდი დატვირთვა დააწვა დინამოელთა დაცვას და, განსაკუთრებით მეკარე გოგიას. მე–20 წუთზე მან შეძლო უსტიმჩიკის მიერ დარტყმული ძალიან ძნელი ბურთის აღება, შემდეგ მოიგერია პლოსკინას დარტყმა, როცა იგი პოლიშჩუკისგან მიღებული გადაცემის შემდეგ კარის წინ აღმოჩნდა.

ანგარიშში ცვლილება პირველი ტაიმის დასასრულამდე არ მომხდარა, თუმცა, საამისო შესაძლებლობა საკმაო იყო. მაგალითად, მე–40 წუთზე ყიფიანის დარტყმის მერე მასპინძლები აშკარად გადაურჩნენ მეორე გოლს.

შესვენების შემდეგ “ჩერნომორეცმა” კიდევ უფრო გააძლიერა შეტევა, 51–ე წუთზე ახალგაზრდა ფეხბურთელმა პლოსკინამ, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა აგრესიული, სახიფათო თამაშით, ისარგებლა მოპირდაპირე კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტით და ანგარიში გაათანაბრა.

მომდევნო პერიოდში, დაახლოებით 10–15 წუთის მანძილზე, ოდესელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. ისინი ბევრს მოძრაობდნენ, ხშირად ცვლიდნენ შეტევის მიმართულებას, ზედიზედ აწვდიდნენ კუთხურს, მეკარე გოგია კვლავ და კვლავ ერთვოდა თამაშში, ზედიზედ იღებდა ძნელ ბურთებს. მატჩის დასასრულისთვის ორივე გუნდი დაიღალა, ტემპმა მოიკლო, ცალკეულ ფეხბურთელთა შეცდომებმა იმატა და უკვე მაშინ, როცა დაიწყო შეხვედრის ბოლო

წუთი, ”ჩერნომორეცმა” ბოლო იერიში განახორციელა. მან გუნდს წარმატება მოუტანა. მიხაილოვის დარტყმის შემდეგ ბურთი სტუმრების ბადეში აღმოჩნდა.

ი. რომანოვსკი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 22 ივლისი, 1975 წ.